

შპს ორბი გინზა ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5

ზოგადი ინფორმაცია

ზოგადი ინფორმაცია	6
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
▪ ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	13
▪ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	16

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2022	2021	2020
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	141,147	40,430	136,638
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20,616		
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	349,951	5,494,405	5,453,066
მარაგები	160,624	589,445	560,712
- მზა პროდუქცია			
- სხვა	160,624	589,445	560,712
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	3,692	51,054	10,814
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	20,880	3,258	3,258
ძირითადი საშუალებები	10,911,075	4,832,581	4,495,283
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	141,147		
სულ აქტივები	11,607,985	11,011,173	10,659,771
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	280,312	66,315	67,449
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	130,734		
საგადასახადო ვალდებულებები	1,058,288	879,295	589,589
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	7406	337	273
სულ ვალდებულებები	1,476,740	945,947	657,311
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13,894,738	12,269,738	11,638,740
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(3,763,493)	(2,204,512)	(1,636,280)
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	10,131,245	10,065,226	10,002,460
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11,607,985	11,011,173	10,659,771
სულ მოკლევადიანი აქტივები	545,339	6,175,314	6,161,230
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,476,740	945,947	657,311

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	2022	2021
ნეტო ამონაგები	4,601,072	38,844
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	4,601,072	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		38,844
გაყიდვების თვითღირებულება	(1,363,329)	
საერთო მოგება	3,237,743	
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(2,971,207)	(401,024)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(711,617)	(2,391)
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი		
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,214,040)	(140,600)
სულ საოპერაციო ხარჯები	(4,896,864)	(544,015)
საოპერაციო მოგება	(1,659,121)	(505,171)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	100,140	(65,487)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	100,140	(570,658)
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(1,558,981)	(570,658)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(1,558,981)	(570,658)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	10,065,226	10,002,460
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	1,625,000	633,424
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	10,131,245	10,065,226

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(694,435)	(348,324)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(896,669)	(377,683)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,625,000	633,424
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		-92583
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	66,821	(3,625)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	40,430	136,638
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	141,147	40,430

ზოგადი ინფორმაცია

შპს “ორბი გინზა” ს/კ 445515675 (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. დაფუძნდა 2017 წლის 11 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დღე-ს გადამხდელად დარეგისტრირდა 2017 წლის 23 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N15ბ ბინა N973, N/BXXVIII-10; ფაქტიური მისამართი: ქ.ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N 15ბ ბინა N973, N/ BXXVIII-10

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ორი დამფუძნებელი:

შპს ორბი ჯგუფი ს/კ 245621849 - 50 % წილის მფლობელი;

მარინა ივანენკო პ/ნ 40 10 008228, 71 2135752 /რუსეთის ფედერაცია/ - 50% წილის მფლობელი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ორი დირექტორი:

ირაკლი კვერდელიძე პ/ნ 31001004647

იულია ბოლდინა, 71 2858772 /რუსეთის ფედერაცია/

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად. ის წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) ორგანიზაციას და მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში (ლარში). საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს „რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები“ ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის კომპანიას ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება არ დაუწყია.

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ **პირველად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას** ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს მიერ გამოშვებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)“ შესაბამისად და წარმოადგენს **მესამე კატეგორიის ორგანიზაციას**.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან

გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ შპს „ორბი გინზა“ ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავისი ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არაა მითითებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში (ტერმინალით ჩარიცხვებს).

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (ფუნქციონალური ვალუტა). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი (ლარი). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა

(ა) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

(ბ) გატარებები და ნაშთები: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გატარებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კურსთაშორის სხვაობიდან

წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისას და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის

შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საკრედიტო პირობების შემთხვევაში დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება

ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები, აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ამ აქტივზე კომპანია ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება **საშუალო შეწონილი მეთოდით**.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება - ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარ აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები - შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედო განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება.

ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ირიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15
მანქანა დანადგარები	7
სარეკლამო კონსტრუქცია	5
ოფისის აღჭურვილობა	5
საკომუნიკაციო მოწყობილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას

შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სრულად და შეზღუდულია 15 წლამდე.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

იჯარა

სადაც კომპანია არის მოიჯარე, იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით, ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალის ცვლილება, მფლობელობა, ა.შ.) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალში შენატანები აღირიცხება რეალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება როგორც გადახდილი საგადასახადო ავანსები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის გამოშვება-რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

(ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება

მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები.

კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

სავალუტო კურსები

2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი
31/12/2022	2,7020	2,8844	100=3,6770
31/12/2021	3,0976	3,5040	100=4,1479

შენიშვნა 1: ფულადი სახსრები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2022		2021
ნაღდი ფული	44,593		-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	69,661		40,410
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1		20
ფული გზაში(ტერმინალი)	26,892		-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი	141,147		40,430

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად: ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის. საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების ნაშთების კლასიფიცირება შეიძლება, როგორც რისკის გარეშე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც განთავსებულია კომპანიის მიმდინარე ანგარიშები არის საიმედო და ფართოდ ცნობილი ქართული საფინანსო ორგანიზაციები. კომპანიაში მინიმალურია ნაღდი ფულის გამოყენების პრაქტიკა და ანგარიშსწორებები ხორციელდება უნაღდო ოპერაციებით.

შენიშვნა 2: კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები

	2022		2021
სავაჭრო მოთხოვნები	20,616		-
სულ სავაჭრო მოთხოვნები	20616		-

სავაჭრო მოთხოვნები წარმოშობილია მიმდინარე ადგილობრივი მოთხოვნებით.

შენიშვნა 3: მოთხოვნები

	2022	2021
1. სხვა პირებზე ავანსად გაცემული ფულადი სახსრები	349,951	5,494,405
2. სხვა მოკლევადიანი აქტივი	3,692	51,054

1. მომწოდებელზე გადახდილი ავანსების ნაწილში აისახება კომპანიის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მომსახურების და საქონლის ავანსად გადარიცხული თანხები. წარმოდგენილი საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

შენიშვნა 4: სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2022	2021
დაუმთავრებელი წარმოება	0	0
ნედლეული და მასალები	160,624	682
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	0	588,763
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	160,624	589,445

სასაქონლო მატერიალური მარაგები 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისათვის წარმოდგენილია შემდეგი სახით: **დაუმთავრებელი წარმოება** - მოიცავს მშენებლობის პროცესში წარმოშობის სერვისებს. **ნედლეული და მასალები** - წარმოადგენს კომპანიის პროდუქციის და ნედლეულის მარაგებს **სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები** აერთიანებს ყველა აუცილებელ მარაგს კომპანიის ფუნქციონირებისათვის, რომელიც ამ ეტაპზე ვერ კლასიფიცირდება ძირითად საშუალებად.

შენიშვნა 5: ძირითადი საშუალებები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები						
შინაარსი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
31.12.2020 მდგომარეობით	220,1275	862,481	1,380,206	51,321	3,258	4,498,541
აქტივის დანამატი	135,264	180,187	18,034	2,946	-	336,431
ცვეთა	0	-110	-595	-1,686	-	-2,391
31.12.2021 მდგომარეობით	2,336,539	1,042,558	1,397,645	52,581	3,258	4,832,581
აქტივის დანამატი	5,851,959	1,087,751	-	6,714	19,113	6,965,537
ცვეთა	(363,933)	(220,254)	(272,937)	(7,548)	(1,491)	(866,163)
31.12.2022 მდგომარეობით	<u>7,824,565</u>	<u>1,910,055</u>	<u>1,124,708</u>	<u>51,747</u>	<u>20,880</u>	<u>10,931,955</u>

შენიშვნა 6: ვალდებულებები

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	280,312	66,315
საგადასახადო ვალდებულებები	1,058,288	879,295
სხვა ვალდებულებები	7,406	337
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
სულ ვალდებულებები	<u>1,476,740</u>	<u>945,947</u>

კომპანიას აქვს მხოლოდ მოკლევადიანი ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები: დადასტურებულია მეორე მხარის მიერ.

საგადასახადო ვალდებულებები: ფორმირებულია მომწოდებლებზე გადახდილი ავანსებიდან ჩათვლილი დღგ (ძირითადად გენერალური მენარდე). აღნიშნული მომსახურებები გრძელდება და მიმდინარეობს მათი ყოველთვიური მონიტორინგი.

სხვა ვალდებულებები: შედგება მიმდინარე საპენსიო დავალანებისაგან.

შენიშვნა 7: ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2022	2021
იჯარის ხარჯი	-	-
კომუნიკაციის, კომუნალური ხარჯი	193,412	38,664
საბანკო ხარჯი	58,181	6,966
საგადასახადო ხარჯი	27,344	51,171
ტრანსპორტირების ხარჯი	7,410	0
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	927,693	46,190
სულ სხვა ხარჯი	1,214,040	142,991

შენიშვნა 8: სხვა არასაოპერაციო შემოსავლები ანგარიშგებაში წარმოდგენილია „ნეტო“ ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. ბალანსის შედგენის შემდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.